# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
# უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

## ოქმი № 9

2 ივნისი 2004 წ ქ ბათუმი

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1 განკარგულება ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების თაობაზე

2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩეველთა სიებისათვის ხელახალი რეგისტრაციის გავლის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;

3 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად კანონით დადგენილი საბუთების არმქონე ამომრჩევლებისათვის ამომრჩევლის მოწმობის საფუძველზე ხმის მიცემის უფლების მინიჭების თაობაზე

4 სხვადასხვა

სხდომას ესწრებოდნენ
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა
კომისიის წევრები გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, სიმონ ჩხაიძე, გულნარა ბზიკაძე, ქეთევან ჯიქია, სერგო დუმბაძე, მამუკა წულუკიძე, ლევან ჩავლეიშვილი.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა, რომელმაც გახსნა სხდომა და ითხოვა დღის წესრიგში შეტანილიყო უსკ-ოს თავმჯდომარის განკარგულების პროექტი უსკ-ოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის სამუშაო დღის ხანგრძლივობის განსაზღვრის თაობაზე. დღის წესრიგის დამტკიცებას დამატებულ საკითხთან ერთად კენჭი ეყარა და ერთხმად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის-განკარგულების პროექტი ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების თაობაზე წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმა ე.წ. ამომრჩევლის მოწმობის ფორმა (5-5.12.01) კომისიის წევრებსაც ჰქონდათ დარიგებული. ფორმის ნიმუში მისაღები აღმოჩნდა კომისიის წევრების მიერ. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა წევრმა. კენჭი ეყარა წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და იქნა მიღებული ერთხმად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩეველთა სიებისათვის ხელახალი რეგისტრაციის გავლის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე-დადგენილების პროექტი განსახილველად გამოიტანა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ. პროექტს თან ერთვოდა ინსტრუქტაჟი აჭარის ამომრჩეველთა ხელახალი რეგისტრაცია ამომრჩეველთა სიებისათვის, რომლის გარშემო ისაუბრა კომისიის წევრმა გ. მჭედლიძემ. ხელახალი რეგისტრაცია იმ აუცილებლობით არის გამოწვეული- აღნიშნა მან, რომ არ არსებობს სრული ინფორმაციული ბაზა ამომრჩევლებისა. ამისათვის 3-დან 13 ივნისამდე აჭარის ყველა ამომრჩეველი მიუხედავად იმისა გაიარეს თუ არა რეგისტრაცია წინა არჩევნებში მიდიან საკუთარ საარჩევნო უბნებში და ავსებენ ამომრჩეველთა რეგისტრაციის განაცხადს, რომელიც შემდეგ შედის ამომრჩეველთა ერთიან სიებში წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით. შეკითხვები არ ყოფილა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა წევრმა. დადგენილების პროექტს კენჭი ეყარა და იქნა მიღებული ერთხმად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხის-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად კანონით დადგენილი საბუთების არმქონე ამომრჩევლებისათვის ამომრჩევლის მოწმობის საფუძველზე ხმის მიცემის უფლების მინიჭების თაობაზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ ი. ფაღავამ. განსახილველი საკითხის მოკლე ანალიზი გააკეთა სხდომაზე მოწვეულმა იურიდიული სამსახურის უფროსმა თამაზ შარმანაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად კანონით დადგენილი საბუთების არმქონე ამომრჩევლებს უნდა მიეცეთ უფლება კენჭიყრაში მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული ამომრჩევლის მოწმობით და რომელიც დარეგულირებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი''-ს 128□ მუხლის პირველი პუნქტის დ" ქვეპუნქტის საფუძველზე. სხვა შენიშვნები წარმოდგენილი პროექტის გარშემო არ ყოფილა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ყველა წევრმა. წარმოდგენილ დადგენილების პროექტს კენჭი ეყარა და ერთხმად იქნა მიღებული.

დღის წესრიგში შეტანილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა. მან დასძინა, რომ საარჩევნო ვადების სიმჭიდროვის გამო არჩევნების ორგანიზებულად და სრულყოფილად ჩატარებისათვის 2004 წლის 3 ივნისს მოგვიწევს სამუშაო დროის გახანგრძლივება 22 საათამდე. სდომაზე დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ წასულა. დასმულ საკითხს კენჭი ეყარა და ერთხმად იქნა მიღებული

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი გ. მჭედლიძე